განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის შესახებ

ა.ა) *კანონპროექტის მიღების მიზეზი*

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება და მასში მითითებული შემდეგი არგუმენტები: „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიზნად ისახავს გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები და ხელი შეუწყოს დარღვეული უფლებების აღდგენას. აღნიშნულ პროცესში, სახალხო დამცველის აპარატის უფლებამოსილება „სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის გამოყენებით მიმართოს სასამართლოს ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი ბერკეტია. ვინაიდან, “Amicus Curiae“ გამოყენება საშუალებას აძლევს სახალხო დამცველს სასამართლოს მიაწოდოს ნორმატიული ან ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, რომლებიც ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშრებული.

აქედან გამომდინარე, მნიშნვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველს საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს სასამართლო მეგობრის ინსტიტუტი არა მხოლოდ სისხლის სამართლისა და საკონსტიტუციო სამართლის საქმეებზე, არამედ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებითაც.

ა.ბ) *კანონპროექტის მიზანი*

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლო მეგობრის უფლებამოსილების რეალიზებისთვის სათანადო პროცესუალური გარანტიების შექმნა.

სასამართლოს მეგობრის ფუნქციას სახალხო დამცველის აპარატი წარმატებით იყენებს როგორც სისხლის სამართლის ასევე საკონსტიტუციო სასამართლოებთან მიმართებით. საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის განმავლობაში სამი “Amicus Curiae” წარადგინა ისეთ მნიშვნელოვად საკითხებთან დაკავშრებით როგორიც არის : “საქართველოს შრომის კოდექსის” მე–14 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობის საკითხი,[1] პირის ექსტრადირების

[1] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 12/8822, 2014 წლის 3 ივლისი

კანონიერი საფუძვლები,[2] ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები.[3]

ზემოაღნიშნული მოცემულობის საწინააღმდეგოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას. აღნიშნული ქმნის სამართლებრივ ვაკუუმს, რაც ხელს უშლის საქართველოს სახალხო დამცველს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახალხო დამცველი მოსაზრებას წარადგენს ადმინისტრაციულ კანონმდებლობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოსამართლე ვერ შეძლებს განიხილოს ან გაიზიაროს იგი.

ამასთანავე, აღსანიშნავია რომ, საქართველოს კონსტიტუციითა და რიგი საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული ადამიანის უფლებების ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზრუდვის აკრძალვა.[4] ამიტომ, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, სადაც პროცესის მხარე არის სახელმწიფო,[5] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახალხო დამცველს ჰქონდეს საშუალება საკუთარი მოსაზრება წარუდგინოს სასამართლოს.

დამატებით, ცვლილებების მიზანს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლება, რაზეც სასამართლოს მეგობარი დადებით გავლენას მოახდენს, ვინაიდან გადაწყვეტილება უფრო მეტ წყაროს დაეფუძნება. ამასთანავე, იგი ხელს შეუწყობს საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს ემატება 16[1] მუხლი, რომლითაც კანონში იქმნება სათანადო პროცესუალური გარანტიები, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზებისთვის.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია:

---

[2] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 04-12/10538, 2014 წლის 15 აგვისტო

[3] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება N 12/11661, 2014 წლის 15 სექტემბერი

[4] კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით,სამოსამართლო სწავლების ცენტრი. - თბ., 2004; Clare Ovey and Robin White, Jacobs and White, The European Convention on Human Rights, 4th ed.(New York: Oxford University Press, 2006) at p. 86

[5] საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი“, მუხლი 14 (1)

„ე) ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“

ამასთანავე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის[6] შესაბამისად, საქართველოში საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქციით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს.

თუმცა, აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცესუალური გარანტიები მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონით არის გარანტირებული. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი[7] ასევე ადგენს, რომ „ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დამტკიცებული ფორმით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით თავისი წერილობითი მოსაზრებით“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს ფულადი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

---

[6] *მუხლი 2. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა*

„1. საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.“

[7] *თავი II[1] სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, მუხლი 141.*

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს სახალხო დამცველი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.